

საქართველოს კანონი

საქონლის დეკლარირების მოსაკრებლების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს კანონი აღგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საქონლის დეკლარირების პროცედურებისათვის გადასახდევინებელი მოსაკრებლების სახეებსა და განაკვეთებს, ამ მოსაკრებლების გადახდევინების წესსა და ვადებს.

მუხლი 2. საქონლის დეკლარირების მოსაკრებლის ცნება

საქონლის დეკლარირების მოსაკრებელი არის პირისათვის სავალდებულო ფულადი შესატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდევინებენ საგადასახადო ორგანოები საქონლის მიერ ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთისათვის განხორციელებული სავალდებულო პროცედურებისათვის.

მუხლი 3. საქონლის დეკლარირების მოსაკრებლის გადამხდელი

საქონლის დეკლარირების მოსაკრებლის გადამხდელია პირი, რომელსაც საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოაქვს ან ამ ტერიტორიიდან გააქვს საქონელი.

მუხლი 4. საქონლის დეკლარირების მოსაკრებლების სახეები

საქონლის დეკლარირების მოსაკრებლების სახეებია მოსაკრებლები, რომლებიც გადაიხდევინება საქონლის დეკლარირების პროცედურებისათვის.

მუხლი 5. საქონლის დეკლარირების მოსაკრებლის განაკვეთები

1. საქონლის დეკლარირების მოსაკრებლის განაკვეთებია:

ა) ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილებული საქონლისათვის გათვალისწინებული პროცედურებისათვის (გარდა საქონლის დროებითი შემოტანისა):

ა.ა) 3000 ლარზე ნაკლები სატარიფო ღირებულების მქონე საქონელზე - ერთ დეკლარაციაზე 5 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ა.ბ) 3000 ლარისა და მასზე მეტი სატარიფო ღირებულების მქონე საქონელზე - ერთ დეკლარაციაზე 60 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანისათვის:

მუხლი 7. საქონლის დეკლარირების მოსაკრებლის დარიცხვისა და გადახდევინების
წესი

1. საქონლის დეკლარირების მოსაკრებლის დარიცხვისა და გადახდევინების საფუძველია სასაქონლო დეკლარაცია.

2. საქონლის დეკლარირების მოსაკრებელი გადაიხდევინება სასაქონლო დეკლარაციის წარდგენის დროს საქონლის გაშვებამდე სხვა იმპორტის/ექსპორტის გადასახდელებთან ერთად.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალდაკარგულად გამოცხადდეს საბაჟო მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონი (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ. 37).

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი